ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №116

(მომსახურების შესყიდვა)

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ **სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მისი დირექტორი ირაკლი ათუნაშვილის სახით** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი/მ ლია გოგიძე პ/ნ 47001017750 (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, შემდეგში „მიმწოდებელი“ - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის ვ პუნქტის (წარმომადგენლობითი ხარჯი) მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - მ/წლის 01 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით **ეროვნული დრამატურგიის V საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სტუმრების გამასპინძლება (ფურშეტი)**
დაფინანსების წყარო - **საკუთარი შემოსავლები**

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია, (CPV) კოდი – 55330000,(კაფეტერიის, სასადილოს მომსახურება)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5200-00 ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 01 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი,).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების დადების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მხარეები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ადასტურებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა) შემსრულებლის ანგარიშის ნომერზე.

7.4 ანზღაურება მოხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად ან/და ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს შესრულების შემდგომ მიღება-ჩაბარების წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

10.4 ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსრულებელს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით ეცნობება შემსრულებელს.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ს.ს.ი.პ მესხეთის (ახალციხის)	
პროფესიული სახელმწიფო	**ი/მ ლია გოგიძე**
დრამატული თეატრი	
ქ. ახალციხე თამარ მეფის ქ. №6	ქ. ახალციხე, თამარ მეფის 10
სახელმწიფო ხაზინა	საქართველოს ბანკი
სახაზინო კოდი №TRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ს/კ 224072928	ს/კ 47001017750
სახაზინო კოდი 708277015	GE67BG0000000161779308
დირექტორი: ი. ათუნაშვილი	**ლ. გოგიძე**

LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre

Digitally signed by LEPL Meskheti (akhaltsikhe) professional state drama theatre
Date: 2019.10.01 12:06:29 +04'00'